# გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

## „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტზე

### ა) ზოგადი ინფორმაცია რეგლამენტის პროექტის შესახებ

#### ა.ა) რეგლამენტის პროექტის მიღების მიზეზი

რეგლამენტის პროექტის მომზადება განაპირობა „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილმა ცვლილებებმა, რომლითაც იცვლება საქართველოს მთავარი პროკურორის თანამდებობაზე გამწესებისა და თანამდებობიდან ვადამდე გათავისუფლების პრინციპები, კერძოდ, მთავარ პროკურორს ირჩევს და თანამდებობიდან ვადამდე ათავისუფლებს საქართველოს პარლამენტი. გარდა ამისა, იქმნება ახალი ინსტიტუცია - საპროკურორო საბჭო, რომლის 4 წევრს ირჩევს პარლამენტი. ზემოაღნიშნული კანონის თანახმად, მთელი რიგი პროცედურული საკითხებისა პარლამენტის რეგლამენტით უნდა განისაზღვროს.

#### ა.ბ) რეგლამენტის პროექტის მიზანი

რეგლამენტის პროექტის მიზანია „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილ ცვლილებასთან საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის შესაბამისობის უზრუნველყოფა.

#### ა.გ) რეგლამენტის პროექტის ძირითადი არსი

რეგლამენტის პროექტი აწესრიგებს პარლამენტის მიერ საპროკურორო საბჭოს წევრების არჩევის, აგრეთვე საქართველოს მთავარი პროკურორის არჩევისა და თანამდებობიდან ვადამდე გათავისუფლების საკითხებს.

პროექტის თანახმად, საპროკურორო საბჭოს ერთ წევრს თავის წევრთაგან ირჩევს საპარლამენტო უმრავლესობა, ხოლო მეორე წევრს, პარლამენტის იმ წევრთაგან, რომლებიც არ შედიან საპარლამენტო უმრავლესობაში, ირჩევენ უმრავლესობის გარეთ მყოფი პარლამენტის წევრები. პროექტით გათვალისწინებულია ისეთი შემთხვევაც, როდესაც შექმნილი არ არის საპარლამენტო უმრავლესობა. ასეთ შემთხვევაში საპარლამენტო ფრაქციები და პარლამენტის წევრები, რომლებიც არც ერთ ფრაქციაში არ არიან გაერთიანებულნი და რომელთა რაოდენობაც პარლამენტის სრული შემადგენლობის ნახევარს აღემატება, აგრეთვე დანარჩენი ფრაქციები და ის წევრები, რომლებიც არ არიან გაერთიანებული არც ერთ ფრაქციაში, გარდა ზემოაღნიშნული ასეთი წევრებისა, ირჩევენ საპროკურორო საბჭოს თითო წევრს.

რაც შეეხება საპროკურორო საბჭოს დანარჩენ ორ წევრს, მათ პარლამენტი ირჩევს საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ წარდგენილ კანდიდატთაგან, იმავე წესით, როგორითაც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 47-

ე მუხლის თანახმად, პარლამენტი ირჩევს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებს.

რეგლამენტის პროექტის თანახმად, საპროკურორო საბჭოს მიერ დამტკიცებული საქართველოს მთავარი პროკურორის კანდიდატურა საქართველოს მთავრობის თანხმობით წარედგინება პარლამენტს, რომელიც ფარული კენჭისყრით, სრული შემადგენლობის უმრავლესობით, ირჩევს საქართველოს მთავარ პროკურორს. თუ პარლამენტი მხარს არ დაუჭერს საქართველოს მთავრობის მიერ წარდგენილ კანდიდატურას, კანდიდატურის წარდგენის პროცედურა თავიდან იწყება.

რეგლამენტის პროექტში აისახა „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მთავარი პროკურორის თანამდებობიდან ვადამდე გათავისუფლების საფუძვლები და წესი.

**ბ) რეგლამენტის პროექტის ფინანსური დასაბუთება**

**ბ.ა) რეგლამენტის პროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო**

რეგლამენტის პროექტის მიღება არ იწვევს რაიმე ხარჯის გაწევის საჭიროებას.

**ბ.ბ) რეგლამენტის პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე**

რეგლამენტის პროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ცვლილებას.

**ბ.გ) რეგლამენტის პროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე**

რეგლამენტის პროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებას.

**ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები**

რეგლამენტის პროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

**ბ.ე) რეგლამენტის პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება რეგლამენტის პროექტის მოქმედება:**

რეგლამენტის პროექტის მიღება არ იწვევს რაიმე ფინანსურ შედეგს იმ პირთათვის, რომლებზედაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

**ბ.ვ) რეგლამენტის პროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:**

რეგლამენტის პროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის დადგენას.

**გ) რეგლამენტის პროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან**

**გ.ა) რეგლამენტის პროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან**

რეგლამენტის პროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

**გ.ბ) რეგლამენტის პროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან**

რეგლამენტის პროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

**გ.გ) რეგლამენტის პროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან**

რეგლამენტის პროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

**დ) რეგლამენტის პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები**

**დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს რეგლამენტის პროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

რეგლამენტის პროექტის შემუშავებაში ამ პუნქტით გათვალისწინებულ ორგანიზაცია/დაწესებულებებს და ექსპერტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

**დ.ბ) რეგლამენტის პროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება რეგლამენტის პროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

ასეთი არ არსებობს.

**ე) რეგლამენტის პროექტის ავტორი:**

რეგლამენტის პროექტის ავტორია საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი.

**ვ) რეგლამენტის პროექტის ინიციატორი:**

რეგლამენტის პროექტის ინიციატორია საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი.